ხაშურის მოამბე

№13(337) 11 აპრილი, ორშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროექტის განხორციელება იგეგმება

ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 300 000 ლარია გათვალისწინებული.

სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირება ხელს უწყობს მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას ბიუჯეტირების პროცესში. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად,მოქალაქეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას თუ რომელი პროექტი უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტმა.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის წინამოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" ექსპერტებთან,რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე იმსჯელეს იმ აუცილებელი წინაპირობების და სამუშაოების შესახებ,რაც საჭიროა სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესის დასაწყებად. ,,მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" წევრებმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარეს ამ სფეროში მათ მიერ დაგროვილი გამოცდილება და საექსპერტო ცოდნა.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცედურები ხაშურის მუნიციპალიტეტში უახლოეს მომავალში დაიწყება.

შეხვედრა მელიორაციის საკითხებზე

შპს ,,საქართველოს მელიორაციის" გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, ვალერიან მჭედლიძემ, რეგიონში სამელიორაციო სიტემებზე არსებული მდგომარეობა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები და საექსპლუატაციო ღონისძიებები;

საუბარი შეეხო დაგეგმილ პროექტებს,რომლის განხორციელებასაც საქართველოს მელიორაცია უახლოეს მომავალში გეგმავს.

დღეისათვის, შიდა ქართლის რეგიონში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 12 მლნ ლარის ღირებულების 7 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

შედეგად,დამატებით,4000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 3 240 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

,,სარწყავი სეზონი ახლოვდება; ადგილზე ვეცნობით იმ საჭიროებებს,რაც მოსახლეობას აქვს. სწორედ ამის გათვალისწინებით ხორციელდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და კეთილმოწყობის სამუშაოები. შიდა ქართლი აქტიურია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით; გამართული სამალიორაციო ინფრასტუქტურა კი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფერმერებს,გაზარდონ წარმოება",- აღნიშნა თენგიზ ნასარიძემ.

შეხვედრა შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელსაც ,,საქართველოს მელიორაციის" წარმომადგენლები და შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

2026 წლამდე, ავტორიზაციას ყველა სკოლა დაექვემდებარება

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ზვიად გოგუაძე, საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანებით, მეორე ვადით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრად დაინიშნა. საბჭოს წევრის მანდატი ერთ წლიანია. დანიშვნა ხორციელდება კონკურსის წესით, რომელსაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებს.

საბჭო ერთადერთი უმაღლესი კოლეგიური ორგანოა ქვეყანაში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

მიმდინარე წელს, მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება ზოგადი განათლების ხარისხის მიმართულებით. იგეგმება ავტორიზაციის სტანდარტების და პროცედურების ცვლილება და ამ პროცესში საბჭოს როლი უმნიშვნელოვანესია. საბჭო, შემფასებელთან ერთად, განმავითარებელ შეფასებასაც ატარებს.

გარდა ავტორიზაციის სტანდარტებისა, 2026 წლამდე, ავტორიზაციას დაექვემდებარება ყველა ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულება. აქამდე, სავალდeბულო ავტორიზაციას მხოლოდ კერძო სკოლები გადიოდნენ , 2026 წლამდე კი, ეტაპოვრივად უნდა გაიაროს ყველა საჯარო სკოლამ.

ამ მიმართულებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არაერთ სიახლეს ახორციელებს და მათ შორის, 2021 წელს გამოაცხადა კონკურსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირებისთვის.

კონკურსში განაცხადი გააკეთა 523-მა პირმა, კონკურსის პირველი ეტაპი - ტესტირება - დადებითი შეფასებით დაძლია 172-მა კონკურსანტმა. ცენტრმა განახორციელა აღნიშნული პირების გადამზადება და გასაუბრების შედეგად, შეარჩია კანდიდატები.

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტები გახდნენ:

1. ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი - ზვიად გოგუაძე;
2. სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი -მორის დანდურიშვილი;
3. სსიპ ქრისტეფორე III-ის სახელობის დაბა სურამის N4 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ალექსანდრე ლომიძე;

სერტიფიცირებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ კონკურსის წესით ჩაირიცხონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსში ან დაწესებულებების მხარდამჭერ ჯგუფებში, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

დანართი №1

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2022 წელი

№	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	პროექტის სული ღირებულება	შენიშვნა
1	ა ლ ი	ალი	სანიაღვრე არხის მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
2		ბრილი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	12 000,00	0,00	12 000,00	
3		ახალუბანი	სანიაღვრე არხის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
4		დუმაცხოვი	სანიაღვრე არხის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
5		ზემო აძვისი	ამბულატორიის შენობის რემონტი	10 000,00	0,00	10 000,00	
6		კლდისწყარო	მისასვლელი გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
7		ცხეთიჯვარი	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
8		უწლევი	სკვერის კეთილმოწყობა, ნაპირსამაგრი	10 000,00	0,00	10 000,00	
9		ნაბახტევი	ტრენაჟორების მოწყობა	16 000,00	0,00	16 000,00	
10		ქინმათი	არტეზიული ჭის მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
			ჯამი:	120 000,00	**0,00**	**120 000,00**	
11	**გომი**	გომი	მუნ. ადმინისტრაციული შენობის ეზოში სკვერის მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
			მუნ. ადმინისტრაციული შენობის ეზოში სველი წერტილების მოწყობა				
12		ხიდის ყური	გარე ტრენაჟორების მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			სარწყავი სისტემის მოწყობა				
13		ვაყა	გარე ტრენაჟორების მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
			თავშეყრის ადგილის მოწყობა				
14		ქვემო აძვისი	სანიაღვრე არხის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
15		დიდი სატივე	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
16		პატარა სატივე	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
		აგარები	მინი სპორტული მოედნის მოწყობა				
17			შიდა გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
			ჯამი:	92 000,00	**0,00**	**92 000,00**	
18	**ოსიაური**	ზემო ოსიაური	"ზემო უბნის" სკვერის მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
			ხაშურის N12 საბავშვო ბაღის ეზოს და ფასადის მოწყობა				
19		ქვემო ოსიაური	"ბატონის ბაღის" სკვერის მოწყობა	16 000,00	0,00	16 000,00	
20		ახალსოფელი	ე.წ. "თედოს წყაროს" განახლება/მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
21		ნარუჯები	სოფლამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
22		ღუდა	სოფლამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
			ჯამი:	66 000,00	**0,00**	**66 000,00**	
23	**დაბა სურამი**	დიდი ბეკამი	სანიაღვრეების მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			სკვერის მოწყობა				
24		პატარა ბეკამი	სანიაღვრე არხების მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
			სასმელი წყლის მილების შეცვლა				
25		ერთხევ	გარე გამოყენების ტრენაჟორების მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			სოფლის შიდა გზის მოხრეშვა				
26		ზეკოტა	ტრენაჟორების შემოღობვა-კეთილმოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
27		ბიჯნისი	წმ. მარინეს ტაძართან მისასვლელ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
			ხიდის მოწყობა მდინარე ბიჯნისულაზე				
		დაბა სურამი	საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
			ცენტრალურ პარკში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწესრიგება				
28			კაკალათხევის დასახლებაში სკვერის მოწყობა				
			ჯამი:	74 000,00	**0,00**	**74 000,00**	
29	**ფლევი**	დიდი ფლევი	გარე ტრენაჟორების მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
30		პატარა ფლევი	სასაფლაოს შემოღობვა	10 000,00	0,00	10 000,00	
31		ნაცარგორა	შიდა გზების მოხრეშვა	12 000,00	0,00	12 000,00	
		ტკოცა	გარე ტრენაჟორების მოწყობა	16 000,00	0,00	16 000,00	
32			შიდა გზების მოხრეშვა				
			ჯამი:	50 000,00	**0,00**	**50 000,00**	

33			სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის დაბეტონება (ლაცაბიძეების უბანი)	20 000,00	0,00	20 000,00	
			სასმელი წყლის სისტემის სათავე ნაგებობის მოწყობა (ჭალის უბანი)				
		ქვიშხეთი	სანიაღვრე არხის მოწყობა (ღონღაძეების უბანი)				
			სანიაღვრე არხის მოწყობა (გიგიტაშვლების უბანი)				
			სანიაღვრე არხის მოწყობა (ცუცქირიძეების უბანი)				
			სანიაღვრე არხის მოწყობა (მჭედლიშვილების უბანი)				
34			ტრენაჟორების მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
		ტაშისკარი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილ;იტაცია				
			სარეკრეაციო სივრცის (ფანჩატურის) მოწყობა				
35		მონასტერი	გზისა და დამცავი კედლების მოწყობა და მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
			მილხიდი მდინარეზე				
36		ბეღლეთი	სავალი გზის ბეტონით მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			გარე განათების მოწყობა				
37		ბულბულისციხე	სავალი გზის ბეტონით მოწყობა (სასაფლაოს გზა)	10 000,00	0,00	10 000,00	
38	**ქვიშხეთი**	სათივე	ფანჩატურის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			სანიაღვრე არხის მოწყობა				
39		სარმანიშვილისკარი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	10 000,00	0,00	10 000,00	
			სანიაღვრე არხის მოწყობა				
40			სასმელი წყლის სისტემის რეზერვუარის მოწყობა (ხახუტის ტეზერი)	16 000,00	0,00	16 000,00	
		ტეზერი	სასმელი წყლის სისტემის რეზერვუარის მოწყობა (კოშკის ტეზერი)				
			სანიაღვრე არხის გაკეთება (ხახუტის ტეზერი)				
			საბავშვო სკვერის მოწყობა (კოშკის უბანი)				
41		ყიფიაანთუბანი	სოფლის შიდა გზების დაბეტონება (გაგრძელება)	12 000,00	0,00	12 000,00	
			სოფლის შიდა გზების მოხრეშვა				
42			სასაფლაოს შემოღობვა	12 000,00	0,00	12 000,00	
			სოფლის შიდა გზების მოხრეშვა				
		სავანისუბანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (ღონღაძეების უბანი)				
			სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია				
		რუსაანთუბანი	შიდა სასოფლო გზის (ჩიხის) ბეტონით მოწყობა				
43			სკვერის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				132 000,00	**0,00**	**132 000,00**	
44			სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
		ცხრამუხა	მოსაცდელების კაპ. შეკეთება				
			ბიბლიოთეკასთან სველი წერტილის მოწყობა				
45			წყლის მილის შეცვლა სათავე ნაგებობიდან სოფლამდე	10 000,00	0,00	10 000,00	
		თაგვეთი	დახრეშვა (შიდა სასოფლო გზები)				
	ცხრამუხა		დაკიდული ხიდის განათება				
			ქვიშხეთიდან ჩამოსასვლელ გზაზე სანიაღვრის მოწყობა-10 მ				
46		რბონა	გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
47		დამჩხეულა	გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
48		ქაშვეთი	გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
49		ჯვართმუხა	გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
50		კოდისწყარო	წყლის სისტემის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				80 000,00	**0,00**	**80 000,00**	
51		ქემფერი	ორი საბავშვო სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით	12 000,00	0,00	12 000,00	
52		ცოცხნარა	საუბნო გზების ცალკეული მონაკვეთების დახრეშვა. ორმოული შესწორებები	12 000,00	0,00	12 000,00	
53		წაბლოვანა	მოსაცდელის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის მოშანდაკება	10 000,00	0,00	10 000,00	
	ცოცხნარა						
55		ცედანი	მოსაცდელის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის მოშანდაკება	10 000,00	0,00	10 000,00	
56		ოძისი	საუბნო გზების ცალკეული მონაკვეტების დახრეშვა. ორმოული შესწორებები	10 000,00	0,00	10 000,00	
56		ცივწყარო	შიდა საუბნო გზის მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				64 000,00	**0,00**	**64 000,00**	

57		წაღვლი	მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების დაწყება	16 000,00	0,00	16 000,00	
			საბავშვო ატრაქციონების მოწყობა				
58		კლდისწყარო	სოფ. ქვემო ბროლოსანთან თანხების გაერთიანებით მინისტადიონის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			სკვერის მოწყობა				
59		ქვემო ბროლოსანი	სოფ. კლდისწყაროსთან თანხების გაერთიანებით მინისტადიონის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			ტრენაჟორების მოწყობა				
60	**წაღვლი**	ზემო ბროლოსანი	სასმელი წყაროს აღდგენის სამუშაოების შესრულება	10 000,00	0,00	10 000,00	
			გარე განათების სამუშაოების დამთავრება				
61		ჩორჩანა	საზოგადოებრივი ტავსეყრის შენობის კეთილმოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			სანიაღვრეების მოწყობა				
62		წეღვერი	სოფელთან მისასვლელი გზის ნაწილზე (200მ) ბეტონის საფარის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			ატრაქციონების მოწყობა				
		ტიტვინისწყარო	სოფელთან მისასვლელი გზის ნაწილზე (200მ) ბეტონის საფარის მოწყობა				
63			ატრაქციონების მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				76 000,00	**0,00**	**76 000,00**	
65		წრომი	ღია სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
			სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ბეტონის გზის დაგება				
			საბავშვო ბაღის და ადმინისტრაციული შენობის გარე ფასადის გალესვა				
66		ახალშენი	სოფლის შიდა გზაზე ბეტონის გზის დაგება	10 000,00	0,00	10 000,00	
			სკვერის მოწყობა				
67	**წრომი**	ნადარბაზევი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება	10 000,00	0,00	10 000,00	
68		იმერლიანთკარი	სასმელი წყლის სატავე ნაგებობის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
			შიდა გზების მოხრეშვა				
		დიდი ყელეთი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება				
69			სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00	0,00	10 000,00	
70		პატარა ყელეთი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				62 000,00	**0,00**	**62 000,00**	
71		ხცისი	სპორტული ინფრასტრუქტურა-ტრენაჟორები	16 000,00	0,00	16 000,00	
			სასაფლაოსთანმისასვლელი ხიდის მშენებლობა				
72	**ხცისი**	მიწობი	ყოფილი კლუბის შენობის ადგილზე საბავშვო მოედნის მოწყობა	12 000,00	0,00	12 000,00	
		კრისხევი	სასმელი წყლის დამატებითი დებეტის შექმნა				
73			სპორტული ინფრასტრუქტურა-ტრენაჟორები	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				38 000,00	**0,00**	**38 000,00**	
74		დიდი ხალები	სოფლის სასაფლაოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია-ბეტონის საფარის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
75		პატარა ხალები	სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე	10 000,00	0,00	10 000,00	
76	**ხალები**	ღართა	სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე	10 000,00	0,00	10 000,00	
77		სარტყელა	სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-ბეტონის საფარის მოწყობა	10 000,00	0,00	10 000,00	
79		ღვრიაწყალი	სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა	10 000,00	0,00	10 000,00	
ჯამი:				50 000,00	**0,00**	**50 000,00**	
სულ ჯამი:				904 000,00	**0,00**	**904 000,00**	

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7)

გვარდია არ შეჩერდა სურამის მთის კარებში გამაგრებულ პოზიციებზედაც, გადასავალს იქით კი გაიფანტა.

ყველაფერი გათავდა! პატარა იმედი, რომ სურამის უღელტეხილზე გამაგრებული ჩვენი ნაწილები მოწინააღმდეგეს შეაჩერებდნენ, რაც საშუალებას მოგვცემდა მოგვეკრიფა ქუთაისის მაზრაში ახალი ძალები და გავმაგრებულიყავით. ეს სუსტი იმედიც სამუდამოდ გაჰქრა...''

გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე: „გორის მიდამოებში ვიბრძოდით 2-III-მდე, სანამ დვალეთიდან შემოჭრილმა მტერმა არ დაიწყო ჩვენი მარცხენა ფრთის შემოვლა. ამ გარემოებამ გვაიძულა დაგვეხია სურამის უღელტეხილისაკენ ხაშურში და სურამში. აქ ბრძოლები გრძელდებოდა 7-III-მდე. ჩვენმა კონტრიერიშებმა დიდი ზიანი მიაყენა ბოლშევიკების ჯარს. აქედან უკანდახევა გვაიძულა დასავლეთ საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ. ბოლშევიკებმა გადმოლახეს მამისონის უღელტეხილი და უახლოვდებოდენ ქუთაისს, შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენი ჯარი იძულებული გახდა დაეტოვებია სოხუმი, ბათუმს სამხრეთიდან ჭოროხის ხეობით უახლოვდებოდნენ ოსმალები.

7-III-ს დავიწყეთ უკანდახევა ქუთაისისკენ. აუცილებელი გახდა ბათუმის გარნიზონის გაძლიერება.''

ხაშურის რაიონში დროებით, მაგრამ მაინც იქნა შეჩერებული მტერი. ბრძოლები გაიმართა სოფელ ნაბახტევთან, ვაყასთან და აზარმასთან. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გაიმართა ხაშურის მისადგომებთან (ოსიური) და სურამის გვირაბის შესასვლელთან.

ვრცლად ეხება ხაშურის რაიონში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, იგი ამავე დროს იძლევა გარკვეულ ანალიზს, ხსნის ქართული საჯარისო ნაწილების წარუმატებლობის მიზეზს. გთავაზობთ მისი მოგონებებიდან ვრცელ ამონარიდს:

„ქალაქ გორთან,– წერს გ. მაზნიაშვილი,– მთავარსარდალმა გადაწყვიტა შეეჩერებინა მოწინააღმდეგის წინსვლა და ამისთვის გაგზავნა სოფ. ხიდისთავისაკენ მეორე დივიზიაა, გენ. სუმბათაშვილის უფროსობით.

ამაზე დაიხარჯა სრულიად უმიზნოდ ორი დღე, რის განმავლობაში მოწინააღმდეგეს მიეცა საშუალება მოეკრიფა თავისი ძალები. მთავარსარდალი იძულებული გახდა გაეცა უკან დახევის ბრძანება სად. ხაშურისაკენ, რადგან ქ. გორის დასაცავად საჭირო იყო 10-ჯერ იმაზე მეტი ძალა, რაც მთავარსარდალს ხელთ ჰყავდა.

ჩემი პირადი შეხედულებით მთავარსარდალმა დაუშვა დიდი გამოუსწორებელი შეცდომა იმით, რომ გორში გაჩერდა.

თუ საჭირო იყო ტფილისის დაცლა უბრძოლველად, რასაც მე პირადად დღესაც არ ვეთანხმები, მაშინ მთავრობას უნდა მოეხდინა სახელმწიფო დაწესებულებათა ევაკუაცია. ხოლო მთავარი ძალები უნდა გადაეყვანა რკინის გზით სურამის უღელტეხილამდე და არიერგარდული ბრძოლებით შეეჩერებინა მოწინააღმდეგე, რითაც შეძლებას მისცემდა ჯარებს გაემაგრებინათ ურელტეხილი და ამგვარად შესაძლებელი იქნებოდა პატარა ძალებით ერთ ადგილას გაჩერება, სანამ მოეშველებოდა დასავლეთ საქართველოში მობილიზაციით მოკრებილი ჯარები და ის „რეალური ძალა'' საზღვარგარეთიდან, რომელსაც ნ. რამიშვილი დაჰპირდა მთავარსარდალს გორის სადგურზე...

იმის გამოისობით, რომ გორში შევჩერდით, მოწინააღმდეგემ დრო იხელთა და, როგორც ზემოთ ვთქვი, მოიკრიბა ყველა თავისი ძალები და გადაწყვიტა ჩვენი მარჯვენა ფრთისათვის უკანიდან მოევლო ათენის ხეობაში და გადაეჭრა რკინის გზა ქარელთან ან გორთან.

მოწინააღმდეგის არტილერიამ 28 თებერვალს სადამოზე დაუწყო სროლა სადგურს.

ხაშურის სადგურზე, ღამის 11 საათზე მივიღე ბრძანება, რომ მე დანიშნული ვარ მე-3 დივიზიის უფროსად, გენ. წულუკიძის მაგივრად, რომელმაც მიიღო ახალი დანიშვნა ქუთაისში.

ამასთან ერთად მივიღე მთავარსარდლისგან სიტყვიერი ბრძანება, რათა 1-ლი და მე-3 დივიზიის ჯარის ნაწილები წამეწია სოფ. ოსიაურისაკენ და ყოველი ღონე მეხმარა და შემეჩერებინა მოწინააღმდეგე, სანამ არ დამთავრდებოდა პოზიციების მოწყობა უღელტეხილზე.

სუმბათაშვილის მე-2 დივიზია, რომელიც დარჩა გორში ჯარების უკან დახევის ხელის შესაწყობად, როდესაც ეს ოპერაცია დამთავრდებოდა, უნდა გადმოსულიყო ჩემს განკარგულებაში.

გათენებისას მე-2 დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს ჩემთან, მე ვუბრძანე დაეკავებიათ პოზიციები სოფ. ოსიაურთან, რკინის გზის სადარაჯო სახლიდან დაწყებული მტკვრამდე, და ამასთან რამდენიმე ასეული გადაეყვანათ ბორანით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

დილის 9 საათიდან მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილები გამოჩნდენენ სოფელ ვაკეში (?), ვაყაში და სატივეში, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ შეაჩერა მათი წინსვლა, ხოლო მე-9 ლეგიონის ნაწილებმა დაიკავეს სოფ. სატივე. გვარდიის ყველა ნაწილები დაგროვდნენ დ. სურამში და მის მიდამოებში. ესენი შეადგენდნენ მთავარსარდლის საერთო რეზერვს.

უღელტეხილის დაკავება ფერხდებოდა ორი მიზეზით: ჯერ ერთი იმიტომ, რომ გენერალ-ინჟინერი თაყაიშვილი ტფილისიდან დაგვიანებით გაიგზავნა და ამიტომ მან ვერ შესძლო დაემთავრებინა თხრილების მოწყობა ადგილობრივი მცხოვრებლების საშუალებით, და მეორეც იმიტომ, რომ რადგან მოწინააღმდეგე პასივობას იჩენდა, მთავარსარდალმა გადაწყვიტა თვითონ გადასულიყო იერიშზე, რათა გამოეყენებინა ერთის მხრივ, ადგილობრივი პოზიციების კარგი მხარეები და მეორეს მხრივ, თუ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, აემაღლებინა ჯარის სულიერი განწყობილება, რომელიც ძალიან დაეცა ტფილისიდან უკან დახევის შემდეგ.

ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად გადაწყვიტეს გაეძლიერებინათ ჩემი რაზმი 1.300 გვარდიელით, 80 ტყვიისმფრქვევლით და გვარდიის ცხენოსანი დივიზიონით.

ეს რაზმი, 2 მარტს, გათენებისას უნდა დაბანაკებულიყო ტყეში, სოფ. ვაყას ცოტა ზევით. მე-9 და მე-12 ლეგიონების ნაწილები გათენებისას უნდა გადასულიყვნენ იერიშზე და, როდესაც მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩაებმებოდა, ტყეში დაფარულ გვარდიელებს შეტევა უნდა დაეწყოთ და მოწინააღმდეგე უნდა გადაერეკათ მტკვარში, ხოლო გვარდიის ცხენოსან ჯარს უნდა დაეკავებინა გომის სადგური და გადაეჭრა მათთვის გზა უკანდახევის დროს.

მოწინააღმდეგე ამგვარად ემწყვდეოდა ტომარაში, რომლიდანაც ორი გამოსავალი იყო: სიკვდილი ან ტყვეობა.

გეგმა მომზადებული იყო გაბედულად და მისი განხორციელება შესაძლო იყო, სახალხო გვარდიას რომ შეესრულებინა დავალებული ამოცანა. გვარდიელები მისვლით მივიდნენ დანიშნულ ადგილას, მაგრამ ღამის 10 საათზე თავის ნებით მოიხსნენ პოზიციებიდან და დაბრუნდნენ უკან სურამში.

ეს გარემოება ჩვენ დილამდის არავინ ვიცოდით, რადგან გვარდიელებმა თავის წასვლა არ აცნობეს მთავარ შტაბსაც კი, არამც თუ მე.

ამგვარად, კარგად მოფიქრებული გეგმა ჩაიფუშა.

დილის 4 საათიდან მე-9 ლეგიონის უფროსი მუდამ წუთს მაცნობებდა, რომ მოწინააღმდეგე იწყებს ჩვენი მარცხენა ფრთის მხარისაკენ.

მოწინააღმდეგე ამგვარად შედიოდა ვიწრო ხეობაში სოფელ ფლევთან და ქემფერთან.

ჯერ კიდევ დღისით, მე დავიარე პოზიციები სოფ. ქემფერთან, სადაც დაბანაკებული იყო სახალხო გვარდიის ორი ათასეული და დავრწმუნდი, რომ გვარდიელების მიერ არჩეული პოზიცია კარგი იყო და უკვე მოეწყოთ თხრილებიც.

ათასეულის უფროსს, კაპ. ცომაიას, იქვე ვთხოვე უეჭველად შეერთებულიყო ტელეგრაფით გვერდზე მიმავალ კოლონასთან და ყოველ წუთს ეცნობებინა ჩემთვის საქმის ვითარება.

მაგრამ გვერდზე მომვლელმა კოლონამ ტყიდან თავის წასვლა არ აცნობა გვარდიის ათასეულის უფროსსაც კი.

მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. როდესაც ინათა, მე-9 ლეგიონის უფროსმა მაცნობა, რომ მარცხნივ მხარეს დაბანაკებული გვარდიის ათასეული მოიხსნა პოზიციიდან და მათი ადგილი მოწინააღმდეგემ დაიკავაო. ამ ცნობის შესამოწმებლად მაშინვე გავგზავნე ცხენოსნები, რომლებმაც დაადასტურეს მისი სინამდვილე.

მე-2 და მე-3 დივიზიების ფრონტზე მოწინააღმდეგეს არ გამოუჩენია არავითარი აქტივობა, საჭირო იყო ოსიაურიდან გამოგვეწია რეზერვები ჩვენს მარცხენა ფრთაზე და შემოჭრილი მოწინააღმდეგე ზარბაზნებით გადაერეკეთ და ამგვარად შევაჩერეთ მათი იერიში.

ამ დროს მივიღე ბრძანება მთავარსარდლისა, რომელიც გადმომცა შტაბის უფროსმა: რადგანაც სახალხო გვარდიამ არ შეასრულა დაკისრებული ამოცანა, საერთო იერიში უქმდება და ჩემმა ჯარმა უნდა დაიხიოს სურამის უღელტეხილის პოზიციებზე.

კვლავ დავიხიეთ უკან, ქვევით რაზმებს ებრძანა დაეკავებინათ პოზიციები სოფ. ტეძრიდან სოფ. ქვიშხეთამდე, ხოლო ჩვენგან მარცხნივ უნდა დაბანაკებულიყო სახალხო გვარდია.

მე-2 და მე-3 დივიზიის ნაწილებმა იწყეს უკან დახევა, მე-2 დივიზიამ სოფ. მუხრიანზე (ალბათ ინდა იყოს ცხრამუხა – თ. ლ) ქვიშხეთისაკენ, ხოლო 1-ლმა და მე-3 დივიზიამ რკინის გზის ლიანდაგით სადგ. ლიხზე და ტეძერზე.

სხვათა შორის, მე ყველგან ლაპარაკი მაქვს დივიზიებზე, მაგრამ არც ერთი დივიზია არ იყო სრული... ამგვარად, 2 მატრს ჩემს განკარგულებაში იყო სულ 8 ქვეითი და 1 სადარაჯო ლეგიონები.

იმავე დღეს ბორჯომის ხეობიდან მოვიდა ჩემს განკარგულებაში მე-11 ქვეითი ლეგიონი, რომელსაც შეადგენდა 1.500 თოფიანი და 8 ტყვიისმფრქვეველი.

თუმცა, ჩემდამი მონდობილ ჯარებს ტფილისიდან უკან დახევის დღიდან, მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლიათ, მაგრამ ჯარისკაცთა რიცხვი ლეგიონებში, როგორც ზევითაც ვთქვი, შემცირდა იმიტომ, რომ ჯარისკაცები გზაგზა გარბოდნენ თავიანთ სახლებში. ლეგიონებში ითვლებოდა თითოში 150-500 თოფიანი. ამრიგად ჩვენს ფრონტზე ითვლებოდა 2 მარტს არა უმეტეს 2.500 თოფიანი ჯარისკაცისა.

ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ სურამის უღელტეხილის პოზიციებზე ჩვენ დიდხანს შევჩერდებოდით, რომ იქ შევავსებდით ჯარებს და იქ მივიღებდით იმ „რეალურ ძალას'', რომელსაც ნ. რამიშვილი გვიპრდებოდა, ჯერ კიდევ გორში.

საბრძოლველი რაიონები დავიყავით შემდეგნაირად: სახალხო გვარდიის ნაწილებმა დაიჭირეს ადგილი სოფ. ტეძრიდან მარცხნივ, თვით უღელტეხილამდე. მთავარსარდლის შტაბში მოეწყო სად. წიფაში.

აქ უნდა ვთქვა, რომ ჩემის აზრით, უღელტეხილის დასაცავად ჯარების ამგვარი დანაწილებით დიდი შეცდომა იყო დაშვებული. ჩვენი მთავარი შტაბისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მოწინააღმდეგე მთელი თავისი ძალებით მოაწვებოდა ჩვენს მარცხენა ფრთას, ე.ი. უღელტეხილს, იმ მიზნით, რომ ჩაეგდო ხელში გზატკეცილი და სოფ. ფონა.

გვირაბს იგი გვერდს აუქცევდა და გამოვიდოდა ამგვარად ხეობაში. მაშასადამე, უღელტეხილის დაცვის ამოცანები რომ წყდებოდა, ჩვენ მთავარ შტაბს მარცხენა ფრთაზე რომ შეეჯგუფებინა ჯარის უფრო ძლიერი ნაწილები, ხოლო დისციპლინის ნაკლებად მიმდევარი და უფროსთა სუსტი შემადგენლობის მქონე სახალხო გვარდიის ნაწილები უნდა მოეწყო მარჯვენა ფრთაზე.

ამ შეცდომას მოჰყვა საბედისწერო შედეგი: მოწინააღმდეგემ წინ დასახული ამოცანა გადასჭრა ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. იერიში მიიტანა მარცხენა ფრთაზე და იმავე დღეს შუადამისას ხელთ იგდო უღელტეხილის უმაღლესი წერტილი.

რა ხდებოდა ამ დროს ჩვენს მარჯვენა ფრთაზე?

დივიზიებმა დაიყვეს ერთმანეთში ადგილები ტეძერსა და ქვიშხეთს შუა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ თხრილების გაუმჯობესებას.

მოწინააღმდეგეს თითქოს დაავიწყდა ჩვენი მარჯვენა ფრთის არსებობა.

მთელმა დღემ გაიარა პოზიციების მოწყობა-გამაგრებაში.

ღამის 10 საათზე მივიღე ტელეფონოგრამა შტაბის უფროსისაგან, რომლითაც მატყობინებდა, რომ მოწინააღმდეგის მოწოლას ჩვენმა მარცხენა ფრთამ ვერ გაუძლო და დაიხია უღელტეხილისაკენ, რომ მთავარსარდალს აზრად აქვს დახმარება გაუწიოს უკან დახეულ სახალხო გვარდიის ნაწილებს და ამ მიზნით მევალება მე დაუყოვნებლივ მთელი მე-2 დივიზიით გავიდე გვირაბში და გავემართო სად. წიფისაკენ.

ბრძანება მაშინვე შევასრულე, მაგრამ დივიზიის ნაწილები გვირაბიდან ჯერ სულ არ იყო გამოსული რომ მივიღე მეორე ტელეფონოგრამა შემდეგი შინაარსისა: მთავარსარდალი ფიქრობს რომ გვარდიის ნაწილები ვერ შეჩერდებიან უღელტეხილზე და ამიტომ გევალებათ თქვენ მთელი არტილერია გვირაბში გამოიყვანოთ და მათ საშველად გაგზავნოთ.

ღამის 2 საათზე შტაბის უფროსმა მაცნობა, რომ გენ. სუმბათაშვილი დივიზიით თავის დროზე მივიდა გვარდიელებთან, და რომ ჩვენი მდგომარეობა მარჯვენა ფრთაზე იმდენად განმტკიცდა, რომ მე ნება მეძლევა დავიტოვო არტილერია, მაგრამ არტილერია ამ დროს უკვე წიფაში იყო მისული.

ღამის 3 საათზე, კვლავ მივიღე ტელეფონოგრამა, რომ მოწინააღმდეგეს მოუვიდა მაშველი ჯარები, კვლავ გადავიდა იერიშზე და ჩვენი ჯარები იხევენ უღელტეხილის გადმოღმა. რომ მთავარსარდალს შიში აქვს, მოწინააღმდეგემ ჩემს ჯარებს არ გადაუჭრას ერთადერთი გზა გვირაბისა და ამიტომ წინადადება მეძლევა მივატოვო მძიმე საზიდი ქონება, გამოვძებნო მთის ბილიკები და გადავიყვანო 1-ლი და მე-3 დივიზიები მოლითის სადგურთან.

ამ ტელეფონოგრამის კითხვის დროს ჩემთან იყვნენ ორივე ლეგიონის უფროსები.

მაშინვე მოვახდინეთ განკარგულება, მოეწვიათ ადგილობრივი მცხოვრებნი და გამოეკითხნათ, რა გზებია და რა ბილიკები ქვიშხეთს და მოლითს შუა.

მცხოვრებთა დახმარებით, სამმა ლეგიონმა სრული შემადგენლობით, უზარალოდ გადაიარა ლიხის მთა და გადავიდა მოლითში.

გათენებისას მივიღე კიდევ უკანასკნელი ტელეფონოგრამა, რომლითაც მაცნობებდნენ, რომ უღელტეხილი ჯერ კიდევ ჩვენ ხელშია და თუ მე ჯერ არ მომიყვანია სისრულეში წინა ტელეფონოგრამა, შევუდგე უკან დახევას, გავიარო გვირაბი, გავიდე წიფაში და მივიდე მოლითში.

დღის 6 საათზე ჩემი რაიონის ჯარებმა, დაჰყვეს რა სურამის უღელტეხილის პოზიციებზე დღე და ღამე, უბრძოლველად იწყეს დახევა სრული წესრიგის დაცვით, დანიშნული გზით და შუადღის ორ საათზე დაბანაკდნენ მაღლობზე, მოლითის სადგურის გარშემო.''.[655]

ასე, თითქმის უბრძოლველად, დატოვა გენერალ გ. მაზნიაშვილის ჯარებმა ხაშურის შემოგარენი 5 მარტს.

სხვათაშორის ს. ორჯონიკიძეს საქართველოში რუსეთის არმიის შემოჭრის დროს ი. სტალინისაგან ასეთი წინადადებაც ჰქონდა: „მიეცი დავალება დაწვრილებით აუწერონ ულობას კავალერისტებს უღელტეხილზე გადასასვლელები''...[656] ამვე დროს აფრთხილებდა, თუ დასავლეთიდან დახმარება იქნებოდა, სურამის გვირაბი აეფეთქებინათ, რომ დამხმარე ძალებს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლის საშუალება არ ჰქონოდათ.

ხაშურის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებზე და მოვლენებზე საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ. ეს მოგონებები მრავალ მხრივ არის საყურადღებო. თუნდაც იმ მხრივ, რომ მასში მოვლენები გადმოცემულია საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თვალთახედვით. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა თებერვალ-მარტის სამხედრო ოპერაციებს საბჭოთა რუსეთის წითელი არიის წინააღმდეგ. მის მიერ იყო მოფიქრებული და დამუშავებული ხაშურთან მტრის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის მთელი პერიპეტიები. ამჯერად სწორედ მას დავუთმოთ სიტყვა.

გ. კვინიტაძის ცნობით, მცხეთიდან გორში 26 თებერვალს დილის 8-9 საათზე ჩავიდა. აქ მან ორი დღე დაჰყო, რადგან გვარდიის ჩამოყალიბებას ელოდა. როცა ეს ვერ მოხერხდა მან ზურგის უფროსად გენერალი ჩხეტიანი დანიშნა და ხაშურში მიავლინა. მას გენერალ-გუბერნატორის უფლებები მიენიჭა და დაევალა ხაშურის რაიონში – ამ შემთხვევაში ფრონტის ზურგში,– წესრიგი დაემყარებინა, შეემზადებინა ხაშური უკან დახეულთა მისაღებად.

როცა გორში, მუხრანის მიმართულებით მოწინააღმდეგე შეავიწროვა გენერალ კონიაშვილის რაზმი და საშიშროება შეიქმნა მათი ზურგში გასვლისა, მთავარსარდალმა გ. კვინიტაძემ რომელიც ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, დაბრუნდა გორის სადგურში და გადაწყვიტა ხაშურისკენ დახევა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში „ჰასპის“ პროგრამის დანერგვა დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაიწყო HACCP პროგრამის დანერგვა. სამუშაო შეხვედრა გაიმართა გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო

ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

„ჰასპის“ პროგრამის ფარგლებში იგეგმება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება, პროგრამის შემუშავება/დანერგვა, ახალი სტანდარტების მიხედვით.

მნიშვნელოვანი ცვლილებებით მოხდება საკვების მიღება-ჩაბარება, შენახვა, მომზადება და აღსაზრდელებამდე მიწოდება. საკვების დამუშავების და მომზადებისას, წინასწარ შემოწმდება იმ პირების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვინც უშუალოდ იღებს მონაწილეობას ამ პროცესში.

ამ პროგრამის ფარგლებში სპეციალურ კურსს გაივლიან მზარეულები, მზარეულის დამხმარეები, ექთნები და ყველა ის ადამიანი ვინც საკვების მომზადების პროცესშია ჩართული.

ყოველივე ეს დაგვეხმარება კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დაცვით მივაწოდოთ ხარისხიანი და ჯანსაღი საკვები ჩვენი მუნიციპალიტეტის ბაღების აღსაზრდელებს.

- ჭიდაობა -

ხაშურმა საქართველოს პირველობისათვის მებრძოლ ფალავნებს უმასპინძლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სპორტულ კომპლექსში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოს პირველობა გაიმართა.

შეჯიბრში სხვადასხვა წონით კატეგორიაში, 17 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

გამარჯვებულებს ჯილდოები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ცოტნე ნოზაძემ, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ, სპორტის განყოფილების უფროსმა ბესო გაჩეჩილაძემ, ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულებების, საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ლელა გელაშვილმა, ა(ა)იპ სასპორტო სკოლის ხელმძღვანელმა ივანე ხარაზიშვილმა, დამსახურებულმა მწვრთნელებმა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებმა გადასცეს.

- მისასალმებელია, რომ ჩვენს ქალაქში სპორტული აქტივობები ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს როგორც პროფესიული სპორტის განვითარებას, ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, დღევანდელ ტურნირში 10 წონით კატეგორიაში, ხაშურის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი საბა ჩილაშვილიც მონაწილეობდა, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა, ვულოცავ მას და მომავალში კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებ“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტ-იაშვილმა.

გასულ კვირასვე, ხაშურში, 17-წლამდე სპორტსმენთა შორის, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს პირველობა გაიმართა, ჩემპიონები 10 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ტურნირზე ხაშურელ სპორტსმენთა მონაგარი ასეთია:

ლაშა ლომიძე (60 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო გიორგი ნოზაძემ(71კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

ხაშურის სპორტკომპლექსში გამართული ტურნირის ორგანიზატორი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან და ხაშურის სასპორტო სკოლასთან ერთად, საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაცია იყო.

„ბიგ-რაუნდმა“ მეორე ეტაპი გაიარა

ინტელექტუალური ასპარეზობა „ბიგ-რაუნდი“, რომელშიც ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ, გრძელდება.

ხაშურის მე-3 საჯარო სკოლაში "ბიგ რაუნდის" შესარჩევი ტურის მეორე ეტაპი გაიმართა.

შეჯიბრში მუნიციპალიტეტის 25 სკოლის ინტელექტუალთა გუნდებიმონაწილეობდნენ.

ამ ეტაპზე ასპარეზობას სამი სკოლა გამოეთიშა.

"ბიგ რაუნდი" ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ჩართულობით და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მიმდინარეობს.

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, სამეურვეო საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სკოლის პირველი კლასის მოსწავლის

ლილე ცხოვრებაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

სსიპ სოფელ ფლევის საჯარო სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი და მშობლები ღრმაწუხარებას გამოთქვამენ ამავე კლასის მოსწავლის

ლილე ცხოვრებაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ ოჯახს

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.